**ხელშეკრულება 10-ს**

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

*ქ. თბილისი* *„ 30“ აპრილი 2019 წ.*

ერთი მხრივ, სსიპ - ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტო (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი სააგენტოს უფროსის გიორგი ტატიშვილის სახით და მეორე მხრივ, სს - პსპ დაზღვევა (შემდგომში „მიმწოდებელი”), წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის სოფიო ლებანიძის სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები“, ვმოქმედებთ რა საქართველოს კანომდებლობის, მათ შორის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტი, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

## 1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

**1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში - „ხელშეკრულება“)** - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებულ ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

**1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“** - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

**1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“** - კალენდარულ დღე, კვირა, თვე.

**1.4. „შემსყიდველი“ (დამზღვევი)** –პირი, რომელიც ამ პირობებით და კანონმდებლობის მიხედვით, სადაზღვევო პოლისით განსაზღვრულ ავტოტრანსპორტს აზღვევს მიმწოდებელთან (მზღვეველთან) და იხდის შესაბამის სადაზღვევო პრემიას;

**1.5. „მიმწოდებელი“ (მზღვეველი)** –სს „პსპ დაზღვევა“ - რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად ეწევა სადაზღვევო საქმიანობას და გადასცემს შემსყიდველს (დამზღვევს) ავტოტრანსპორტის დაზღვევის პოლისს;

**1.6. მოსარგებლე** - პირი, რომელიც წინამდებარე პირობებისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად უფლებამოსილია, მიიღოს სადაზღვევო ანაზღაურება;

**1.7. სადაზღვევო შემთხვევა** - სადაზღვევო რისკებით დაფარული მოვლენა, რომლის დადგომის შედეგად წარმოიშობა მიმწოდებელის (მზღვეველის) ვალდებულება, გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება წინამდებარე პირობების შესაბამისად;

**1.8. სადაზღვევო თანხა** - თანხა, რომლის ფარგლებშიც გაიცემა სადაზღვევო ანაზღაურება; სადაზღვევო თანხის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს დაზღვევის ობიექტის აღდგენით და/ან შენაცვლებით ღირებულებას; თითოეული დაზღვევის ობიექტის სადაზღვევო თანხა აღნიშნული იქნება შესაბამის სადაზღვევო პოლისში, რომელზედაც გავრცელდება წინამდებარე პირობები;

**1.9. სადაზღვევო ანაზღაურება** - თანხა ან ქონება, რომელსაც სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას მიმწოდებელი (მზღვეველი) გასცემს მოსარგებლის სახელზე;

**1.10. სადაზღვევო პრემია** - თანხა, რომელიც მითითებულია შესაბამის სადაზღვევო პოლისში მისი გადახდის პირობებთან და ვადებთან ერთად და რომელიც წარმოადგენს წინამდებარე პირობებითა და შესაბამისი სადაზღვევო პოლისით გათვალისწინებული დაზღვევის საფასურს;

**1.11. ფრანშიზა** - ზიანის თანხის ნაწილი, რომელსაც არ აანაზღაურებს სადაზღვევო კომპანია;

**1.12. სადაზღვევო პერიოდი** - კონკრეტულ სადაზღვევო პოლისში მითითებული პერიოდი, რომლის განმავლობაშიც დაზღვევა ძალაშია და რომლის დროსაც დამდგარი შემთხვევები ექვემდებარება ანაზღაურებას;

**1.13. სადაზღვევო პოლისი** - დაზღვევის ხელშეკრულების საფუძველზე გაცემული დაზღვევის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელშიც მითითებულია შემსყიდველის (დამზღვევის) მიერ შეძენილი სადაზღვევო დაფარვის დეტალები;

**1.14. დაზღვევის განაცხადი** - მიმწოდებლის (მზღვეველის) მიერ დადგენილი ფორმით შემსყიდველის (დამზღვევის) მიერ შესავსები კითხვარი, რომელშიც აისახება დაზღვევის განხორციელებისათვის აუცილებლი მიმწოდებლისათვის (მზღვეველისათვის) საინტერესო გარემოებები;

**1.15. უფლებამოსილი მძღოლი** - ნებისმიერი მძღოლი, რომლის ასაკი აღემატება 21 წელს და რომელსაც აქვს შესაბამისი კატეგორიის მოქმედი მართვის მოწმობა.

**1.16. დაზღვეული ავტომობილი** - სადაზღვევო პოლისში მითითებული შემსყიდველის (დამზღვევის) კანონიერ მფლობელობაში არსებული ავტომობილი;

**1.17. ავტოტრანსპორტის სრული დაზიანება (განადგურება)** – სატრანსპორტო საშუალება ითვლება განადგურებულად (სრული დაზიანება), თუ ავტოტრანსპორტის აღდგენითი ღირებულება მისი ღირებულების 70%-ს ან მეტს შეადგენს ან დაზიანებულია ავტომობილის 70 % ან მეტი;

**1.18. ავტო-ტრანსპორტის საბაზრო ღირებულება** - შემსყიდველის (დამზღვევის) ავტომობილის საბაზრო ღირებულება, ანუ თანხა, რომლითაც საქართველოს ბაზარზე შემსყიდველის (დამზღვევის) ავტომობილის იდენტური მონაცემების მქონე სხვა ავტომობილის შეძენაა შესაძლებელი;

**1.19. გამომუშავებული სადაზღვევო პრემია** – სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში კონკრეტული თარიღისათვის, სადაზღვევო პერიოდის დასაწყისიდან ასეთ თარიღამდე განვლილი დროის მონაკვეთის პროპორციული პრემიის ოდენობა;

**1.20. გამოუმუშავებელი სადაზღვევო პრემია** - სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში კონკრეტული თარიღისათვის, სადაზღვევო პერიოდის ამოწურვამდე დარჩენილი დროის მონაკვეთის პროპორციული პრემიის ოდენობა;

**1.21. მესამე მხარე** - ნებისმიერი პირი (ფიზიკური ან იურიდიული), რომლის ჯანმრთელობას ან ქონებას მიადგა ზიანი დაზღვეული ავტომობილის ექსპლუატაციის შედეგად.

**1.22. მესამე პირის წინაშე დაზღვეულის პასუხისმგებლობა** - დაზღვეულის პასუხისმგებლობა მესამე პირის წინაშე ამ უკანასკნელის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და/ან ქონებისათვის ავტოტრანსპორტით მიყენებული ზიანისათვის (ეს პირობა არ ვრცელდება პირებზე, რომლებიც ზიანის დადგომის მომენტისთვის იმყოფებოდნენ დაზღვეულ ავტოტრანსპორტში, მათთვის მიყენებული ზიანი განიხილება, როგორც უბედური შემთხვევა);

**1.23. სადაზღვევო რისკი** - მოვლენა, რომელიც შეიცავს მისი დადგომის შესაძლებლობის და შემთხვევითობის ნიშნებს და რომლის გამოც ხდება დაზღვევა. სადაზღვევო რისკები განისაზღვრება შესაბამისი სადაზღვევო პოლისით;

**1.24. ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღობა** - საქართველოს სისხლის სმართლის კოდექსის 177-179-ე მუხლებით განსაზღვრული ქმედებები;

**1.25. უბედური შემთხვევა** - შემთხვევა, როდესაც ზიანი მიადგა დაზღვეულ ავტოტრანსპორტში მყოფი მძღოლის და მგზავრების სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას ავტოტრანსპორტის მართვისას;

## 2. ხელშეკრულების საგანი

**2.1** წინამდებარე ხელშეკრულების საგანია შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისაგან ხელშეკრულების ღირებულების ფარგლებში (CPV66514110) 5 (ხუთი) ერთეული ავტოტრანსპორტის სადაზღვევო მომსახურების შესყიდვა (ავტომობილების ჩამონათვალი იხ. **დანართი N1**-ში) ხელშეკრულების **დანართი N2**-ით (დაზღვევის პირობები) დადგენილი პირობების შესაბამისად.

**2.2** შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ღირებულება ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში და ფორმით.

## 3. მომსახურების გაწევის ვადები და ადგილი

**3.1** მომსახურების გაწევის ვადაა 2019 წლის 01 მაისიდან - 2019 წლის 01 ივლისამდე.

**3.2** მომსახურების გაწევის ადგილი _ საქართველოს ტერიტორია.

## 4. ხელშეკრულების ღირებულება

**4.1.**ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 1 279.00 (ერთი ათას ორას სამოცდაცხრამეტი ლარი და 00 თეთრი) ლარს;

**4.2.**ხელშეკრულების ღირებულების დეტალური ხარჯთაღრიცხვა მოცემულია წინამდებარე ხელშეკრულების **დანართი N1**-ში.

**4.3.**მომსახურების ღირებულება მოიცავს როგორც გასაწევი მომსახურების ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის (მზღვეველის) მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

**4.4.**დაფინანსების წყარო - საკუთარი შემოსავლები.

**4.5.**წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება, ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

**4.6.** საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

## 5. მხარეთა ვალდებულებები

**5.1. მიმწოდებელი (მზღვეველი) ვალდებულია:**

**5.1.1.** განიხილოს შემსყიდველის (დამზღვევის) პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე; აგრეთვე, დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზის გამოსწორება;

**5.1.2.** განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

**5.1.3.** განხორციელებული დაზღვევის დასადასტურებლად გადასცეს შემსყიდველს (დამზღვევს) შესაბამისი

დაზღვევის პოლისი, ამასთან, დაზღვევის განსახორციელებლად უზრუნველყოს შემსყიდველი (დამზღვევი) შესაბამისი განაცხადის ფორმით;

**5.1.4.** მიიღოს შემსყიდველის (დამზღვევის) განცხადება სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შესახებ განხილვისთვის;

**5.1.5.** შეადგინოს სადაზღვევო დოკუმენტი ზიანის ანაზღაურების შესახებ, განსაზღვროს სადაზღვევო ანაზღაურების თანხა, ავტოტრანსპორტის დაზღვევის პირობებისა და სადაზღვევო პოლისის შესაბამისად;

**5.1.6.** არ გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება სადაზღვევო შემთხვევის შესახებ ზიანის ანაზღაურების შესახებ დოკუმენტის ორმხრივად ხელმოწერამდე;

**5.1.7.** განახორციელოს უფლებამოსილი მძღოლის უბედური შემთხვევის დაზღვევის ანაზღაურება, დამადასტურებელი დოკუმენტის კანონიერ ძალაში შესვლიდან და შესაბამისი საბანკო რეკვიზიტების მოწოდებიდან 48 საათის ვადაში (ლიმიტი 10 000.00 (ათი ათასი ლარი და 00 თეთრი) ლარი ჯამურად, ფრანშიზა 0%) დაზღვევა ფარავს უფლებამოსილი მძღოლის ჯანმრთელობაზე მიყენებული ფიზიკური ზიანით გამოწვეულ სამედიცინო ხარჯებს;

**5.1.8.** მესამე პირთა წინაშე დაზღვეულის პასუხისმგებლობის რისკზე, სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას, გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება შემსყიდველის (დაზღვეულის) პასუხისმგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტის (შემსყიდველის (დაზღვეულის) მიერ მესამე პირ(ებ)ისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე) კანონიერ ძალაში შესვლიდან და შესაბამისი საბანკო რეკვიზიტების მოწოდებიდან 48 საათის ვადაში (ლიმიტი 10 000.00 (ათი ათასი ლარი და 00 თეთრი), ფრანშიზა 0%);

**5.1.9.** დაზიანებული ავტოტრანსპორტის შეკეთება განახორციელოს სერვის ცენტრებში, თუკი ამ ავტოტრანსპორტზე ვრცელდება საგარანტიო მომსახურება;

**5.1.10.** თუკი ავტოტრანსპორტზე არ ვრცელდება საგარანტიო მომსახურება, დაზიანებული ავტოტრანსპორტის შეკეთება განახორციელოს ახალი, ქარხნული დეტალებით.

**5.1.11.** სადაზღვევო რისკებით დამდგარი სატრანსპორტო შემთხვევისას გამოიძახოს ევაკუატორი და უზრუნველყოს ავტოტრანსპორტის ევაკუაციასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება;

**5.1.12.** უზრუნველყოს 24 საათიანი ასისტანსი;

**5.1.13.** უზრუნველყოს დაზარალებული მესამე პირის შემთხვევის ადგილიდან რეანიმობილით ტრანსპორტირება შესაბამის კლინიკაში და მკურნალობასთან დაკავშირებული ყველანაირი ხარჯის ანაზღაურება სადაზღვევო ლიმიტის ფარგლებში (იმ შემთხვევაში თუ ზიანი ექვემდებარება ანაზღაურებას დაზღვევის პირობების და წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად), დაზარალებულის ნებისმიერი სახით მონაწილეობის გარეშე;

**5.1.14.** მოახდინოს სადაზღვევო ანაზღაურების გაცემა შედგენილი სადაზღვევო შემთხვევის აქტის მხარეთა მიერ ხელმოწერიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამ პირობებით გათვალისწინებულია შესაბამისი ვადა კონკრეტული შემთხვევისათვის. ასევე, მესამე პირთა მართლსაწინააღმდეგო ქმედებით ზიანის მიყენების, ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღობის, (მათი მცდელობის) რისკზე სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას, სადაზღვევო ანაზღაურება გაიცემა ანაზღაურების გაცემისათვის აუცილებელი ყველა საჭირო დოკუმენტის მიღებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში;

**5.1.15.** თუ შემსყიდველსა (დამზღვევსა (დაზღვეულს)) და დაზარალებულს შორის მიმდინარეობს დავა მომხდარი შემთხვევის გამო, მიმწოდებელი (მზღვეველი) აანაზღაურებს ზიანს _ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების (შემსყიდველის (დაზღვეულის) /უფლებამოსილი მძღოლის/ მიერ მესამე პირისათვის (პირებისათვის) მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე) მიმწოდებლისათვის (მზღვეველისათვის) წარდგენიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში, თუ სასამართლო გადაწყვეტილებით სხვა (უფრო მცირე) ვადა არ არის განსაზღვრული.

**5.1.16.** გამოითხოვოს შსს საპატრულო პოლიციიდან ოქმი (სხვა საჭირო დოკუმენტაცია), გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საპატრულო პოლიციის უფლებამოსილი პირი უარს განაცხადებს აღნიშნული დოკუმენტ(ებ)ის მიმწოდებლისთვის (მზღვეველისათვის) გადაცემაზე.

**5.1.17.** ავტოტრანსპორტის გარეგანი ზემოქმედებით მიყენებული დაზიანების შემთხვევაში, კერძოდ: ავტომანქანის მინების, სარკეებისა და ფარების დაზიანებისას, როდესაც ავტომანქანა იმყოფება სამსაურებრივი მოვალეობის შესრულების მიზნით მივლინებაში, ასეთ შემთხვევაში საპატრულო პოლიციის (112) გამოძახების გარეშე განახორციელოს სადაზრვევო ანაზღაურება 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში.

**5.2. შემსყიდველი (დამზღვევი) ვალდებულია:**

**5.2.1.** მიაწოდოს მიმწოდებელს (მზღვეველს) უტყუარი ინფორმაცია, რომელსაც მნიშვნელობა აქვს სადაზღვევო რისკის სახისა და ხარისხის განსაზღვრისთვის;

**5.2.2.** დროულად და სრულად გადაიხადოს სადაზღვევო პრემია;

**5.2.3.** დაზღვევის ხელშეკრულების დასადებად და კონკრეტული დაზღვევის განსახორციელებლად წარმოდგენილ მონაცემებში ნებისმიერი ცვლილების შემთხვევაში (მაგ., ავტოტრანსპორტის გასხვისება, სადაზღვევო რისკის ხარისხის გაზრდა, უფლებამოსილი მძღოლის შეცვლა-დამატება, ავტომანქანის გასაღების ან სიგნალიზაციის პულტის დაკარგვა და ა.შ.) შეატყობინოს ამის შესახებ მიმწოდებელს (მზღვეველს) წერილობითი ფორმით დაუყონებლივ, არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა, ასეთი ცვლილების წარმოშობის შეტყობის მომენტიდან;

**5.2.4.** წინამდებარე ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა არ ათავისუფლებს შემსყიდველს (დამზღვევს) ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტამდე არსებული გადასახდელი პრემიის გადახდის ვალდებულებისაგან.

**5.2.5.** სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შემთხვევაში ავტოსატრანსპორტო საშუალების მძღოლი უნდა დაუკავშირდეს მიმწოდებელს (მზღვეველის) ცხელ ხაზს ნომერზე: **218 55 55** წინააღმდეგ შემთხვევაში სადაზღვევო კომპანია არ განიხილავს პრეტენზიას ზიანის ანაზღაურების თაობაზე;

**5.2.6.** სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას დაუყონებლივ აცნობოს აღნიშნულის შესახებ შესაბამის სამართალდამცავ ორგანოებს;

**5.2.7.** მიმწოდებლის (მზღვეველის) წარმომადგენლის მისვლამდე უზრუნველყოს სადაზღვევო შემთხვევის ადგილზე არსებული მდგომარეობის შენარჩუნება ობიექტური შესაძლებლობისა და მოქალაქეობრივი უფლებამოსილების ფარგლებში;

**5.2.8.** გაუწიოს მიმწოდებელს (მზღვეველის) სათანადო დახმარება, ხელი შეუწყოს, მიიღოს მონაწილეობა სადაზღვევო შემთხვევის გამომწვევი მიზეზების, მისი დადგომის გარემოებების, შედეგებისა და მიყენებული ზიანის სიდიდის სრულ და ობიექტურ გამოკვლევაში, დადგენასა და შეფასებაში და არ იმოქმედოს მიმწოდებლის (მზღვეველის) ინტერესების საწინააღმდეგოდ;

**5.2.9.** შეატყობინოს მიმწოდებელს (მზღვეველს) სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებით მის მიერ მიღებული ნებისმიერი უწყების, შეტყობინების ან გზავნილის შესახებ;

**5.2.10.** აცნობოს მიმწოდებელს (მზღვეველს) ავტოსატრანსპორტო შემთხვევასთან დაკავშირებით მის წინააღმდეგ აღძრული ნებისმიერი სარჩელის თაობაზე და იურიდიულ პროცედურებზე, აგრეთვე, გაცხადებულ ნებისმიერ პრეტენზიაზე;

**5.2.11.** ყველა ღონე იხმაროს დაზღვეული ავტოტრანსპორტის უსაფრთხოების დასაცავად;

**5.2.12.** იმ შემთხვევაში, თუ ავტოტრანსპორტს გააჩნია ერთზე მეტი ქარხნული გასაღები (სიგნალიზაციის პულტი), რაც მითითებული უნდა იყოს შემსყიდველის (დამზღვევის) განაცხადში, შემსყიდველს (დამზღვევს (დაზღვეულს)) ექსპლუატაციაში უნდა ჰქონდეს მხოლოდ ერთი ეგზემპლიარი, ხოლო დანარჩენი ეგზემპლიარები შეინახოს საიმედო ადგილას. წინააღმდეგ შემთხვევაში, მიმწოდებელი (მზღვეველი) უფლებამოსილია, გატაცების რისკზე სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას მოიხსნას ნაკისრი ვალდებულებები. ამასთანავე, დაზღვეული ავტოტრანსპორტის ქურდობის შემთხვევაში შემსყიდველმა (დამზღვევმა) უნდა წარმოადგინოს დაზღვევის განაცხადში მითითებული ყველა გასაღები და სიგნალიზაციის პულტი, ხოლო ძარცვა, ყაჩაღობის შემთხვევაში – სათადარიგო გასაღებ(ებ)ი და პულტი (ასეთის მითითებისას განაცხადში), წინააღმდეგ შემთხვევაში, მიმწოდებელი (მზღვეველი), ასევე, იტოვებს უფლებას, მოიხსნას ნაკისრი ვალდებულებები.

**5.2.13.** ავტოტრანსპორტის სარეგისტრაციო მოწმობა არავითარ შემთხვევაში არ დატოვოს ავტოტრანსპორტში. წინააღმდეგ შემთხვევაში, მიმწოდებელს (მზღვეველს) უფლება აქვს, უარი განაცხადოს სადაზღვევო ანაზღაურების გაცემაზე ქურდობის, ძარცვის და/ან ყაჩაღობის შემთხვევებში;

**5.2.14.** თუ შემსყიდველის (დამზღვევის) მიერ წინამდებარე პირობებითა და შესაბამისი სადაზღვევო პოლისით გათვალისწინებული დაზღვევის ინტერესი ერთდროულად რამდენიმე მიმწოდებელთან (მზღვეველთან) არის დაზღვეული, შემსყიდველი (დამზღვევი) ვალდებულია აღნიშნულის თაობაზე განახორციელოს მიმწოდებლის (მზღვეველის) ინფორმირება და შესაბამის წერილობით შეტყობინებაში აღნიშნოს სხვა მიმწოდებლების (მზღვეველების) ვინაობა და სადაზღვევო თანხის ოდენობა. ასეთ შემთხვევაში, თუ დაზღვეული ინტერესი რამდენიმე მიმწოდებელთან (მზღვეველთან) აღმოჩნდება დაზღვეული ერთი და იმავე რისკისაგან და სადაზღვევო თანხმები ჯამში საბაზრო ღირებულებას აჭარბებს, მიმწოდებლები (მზღვეველები) სემსყიდველის (დამზღვევის) წინაშე ვალდებულნი არიან, როგორც სოლიდარული მოვალეები იმ თანხის ფარგლებში, რომელიც გათვალისწინებულია შემსყიდველთან (დამზღვევთან) გაფორმებულ შესაბამის დაზღვევის ხელშეკრულებაში (სადაზღვევო პოლისში), მაგრამ შემსყიდველს (დამზღვევს) არ აქვს უფლება მიიღოს ჯამში რეალურ ზიანზე მეტი თანხა.

**5.2.15.** გამოითხოვოს შსს საპატრულო პოლიციიდან ოქმი (სხვა საჭირო დოკუმენტაცია), გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საპატრულო პოლიციის უფლებამოსილი პირი უარს განაცხადებს აღნიშნული დოკუმენტ(ებ)ის მიმწოდებლისთვის (მზღვეველისათვის) გადაცემაზე. ასეთ შემთხვევაში, დოკუმენტ(ებ)ი უნდა გამოითხოვოს შემსყიდველმა (დამზღვევმა).

**5.2.16.** განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

**<u>5.3 შემსყიდველი (დამზღვევი) უფლებამოსილია:</u>**

**5.3.1.** მოსთხოვოს მიმწოდებელს (მზღვეველს), წინამდებარე პირობებითა და სადაზღვევო პოლისით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვანი და კეთილსინდისიერი შესრულება;

**5.3.2.** დროულად მიიღოს სადაზღვევო პოლისი;

**5.3.3.** სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება წინამდებარე პირობებითა და სადაზღვევო პოლისით გათვალისწინებულ ვადებში;

**5.3.4.** წინამდებარე პირობების მოთხოვნათა დაცვით წაუყენოს მიმწოდებელს (მზღვეველს) შესაბამისი პრეტენზია;
**5.3.5.** მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გაასაჩივროს მიმწოდებლის (მზღვეველის) გადაწყვეტილება, რომელიც მას მიაჩნია არასამართლიანად.

**5.4** <u>**მიმწოდებელი (მზღვეველი) უფლებამოსილია:**</u>
**5.4.1.** გაგზავნოს შესაბამისი შეკითხვები კომპეტენტურ ორგანოებში შემსყიდველისთვის (დაზღვევისათვის) მნიშვნელობის მქონე გარემოებებთან დაკავშირებით;
**5.4.2.** სრული კონტროლი გაუწიოს შემსყიდველის (დამზღვევის) მიმართ მესამე პირთა პრეტენზიის მოგვარებისათვის საჭირო კანონით გათვალისწინებულ ყველა სახის პროცედურას;
**5.4.3.** მოახდინოს შემსყიდველის (დამზღვევის) დასწრებით (თუ ეს შესაძლებელია) დაზიანებული ავტომანქანის დათვალიერება და ფოტოგადაღებები, ასევე, მონაწილეობა მიიღოს მესამე პირის დაზიანებული ან განადგურებული ქონების დათვალიერებასა და ფოტოგადაღებებში;
**5.4.4.** შეადგინოს დაზიანებული სატრანსპორტო საშუალების (ასევე, მესამე პირის დაზიანებული ან განადგურებული ქონების) შეკეთების/აღდგებითი ღირებულების კალკულაცია (ხარჯთაღრიცხვა);
**5.4.5.** საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაასაჩივროს შემსყიდველის (დამზღვევის) მიმართ მესამე პირის მოთხოვნის (სარჩელის) დასაბუთებულობა, სიდიდე და მისი არსებობის საფუძვლიანობა;
**5.4.6.** მოთხოვოს შემსყიდველს (დამზღვევს) (ზეპირსიტყვიერად, ან წერილობითი ფორმით), რათა გადასცეს საკუთრების უფლება სადაზღვევო შემთხვევის გამო მიმწოდებლის (მზღვეველის) მიერ შეცვლილ ავტოტრანსპორტის ნაწილებზე, დაზღვეული ავტომანქანის განადგურების გამო სრული სადაზღვევო თანხის გაცემისას _ განადგურებულ ავტომანქანაზე, ხოლო გატაცების გამო სრული სადაზღვევო თანხის გაცემისას დაკარგული ავტომანქანის პოვნის შემთხვევაში _ ნაპოვნ სატრანსპორტო საშუალებაზე. ასეთ შემთხვევასი მიმწოდებელი (მზღვეველი) თავად ფარავს გადაფორმების პროცედურებთან დაკავშირებულ ხარჯებს.
**5.4.7.** არ აანაზღაუროს ზიანი შემსყიდველის (დამზღვევის) მიერ წინამდებარე პირობებითა და შესაბამისი სადაზღვევო პოლისით დადგენილი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში;

## 6. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

**6.1.** მომსახურების გაწევა დასტურდება შემსყიდველს და მიმწოდებელს შორის მიღება - ჩაბარების აქტის გაფორმებით.
**6.2.** შემწყიდველი უფლებამოსილია განაცხადოს უარი დაგვიანებით ან უხარისხოდ (წუნდებული) გაწეულ მომსახურებაზე.

## 7. ანგარიშსწორება

**7.1.** ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:
ა) ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი;
ბ) ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.
**7.2.** შემსყიდველი იღებს ვალდებულებას განახორციელოს 4.1 პუნქტით გათვალისიწნებული ხელშეკრულების ღირებულების გადახდა ყოველთვიურად (დანართი N1-ში მითითებული ყოველთვიურად გადასახდელი თანხის შესაბამისად), მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში.

## 8. მხარეთა პასუხისმგებლობა

**8.1** ერთ-ერთი მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის ან არასათანადო შესრულების შემთხვევაში, ბრალეული მხარე დაზარალებულ მხარეს აუნაზღაურებს დოკუმენტალურად დადასტურებულ მიყენებულ ზიანს, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.
**8.2.** მიმწოდებელი (მზღვეველი) პასუხს აგებს მისთვის დაკისრებული ვალდებულებების სათანადო შესრულებისათვის და ვალდებულია აანაზღაუროს მისი ქმედებით დამდგარი ყველა სახის ზიანი.
**8.3.** მიმწოდებლის (მზღვეველის) მიერ მისი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში მას ეკისრება პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1% ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
8.4. შემსყიდველის (დამზღვევის) მიერ სადაზღვევო პრემიის გადახდის გრაფიკის დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელი (მზღვეველი) უფლებამოსილია წერილობით მოითხოვოს შემსყიდველისაგან (დამზღვევისაგან) პირგასამტეხლოს გადახდა დავალიანებული პრემიის 0.5%-ის ოდენობით თითოეული ვადაგადაცილებული

დღისათვის; პირგასამტეხლოს დარიცხვა/ათვლა დაიწყება წერილობით შეტყობინებაში მითითებული თარიღიდან.
**8.4.** პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელსა (მზღვეველსა) და შემსყიდველს (დამზღვევს) ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

## 9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

**9.4.** ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.
**9.5.** თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

## 10. დავების გადაწყვეტა

**10.4.** ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკებების გზით.
**10.5.** თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი (დამზღვევი) და მიმწოდებელი (მზღვეველი) ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია, მიმართოს სასამართლოს კანონით დადგენილი წესით.

## 11. ხელშეკრულების შეწყვეტა

**11.4.** ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისაგან.
**11.5.** ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება და მოსთხოვოს მეორე მხარეს ზიანის (პირგასამტეხლოს გათვალისწინებით) ანაზღაურება.
**11.6.** ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.
**11.7.** ხელშეკრულება ასევე შესაძლებელია შეწყდეს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ ჩატარებული კონსოლიდირებული ტენდერისა და გამარჯვებული მიმწოდებლის გამოვლენის შემთხვევაში.

## 12. გაყალბება

**12.4.** თუ შემსყიდველი (დამზღვევი) ან რომელიმე სხვა პირი რაიმე ხერხით გააყალბებს ან შეეცდება, რომ გააყალბოს სადაზღვევო შემთხვევა (ან მასთან დაკავშირებული ნებისმიერი დეტალი), წინამდებარე ხელშეკრულებით მისაღები სარგებელი გაუქმდება. ეს პირობა ვრცელდება აგრეთვე იმ შემთხვევებზეც, როდესაც შემსყიდველი (დამზღვევი) შეგნებულად ზრდის ზიანის თანხას ან სადაზღვევო კომპანიას წარუდგენს ყალბ დოკუმენტაციას;

## 13. რეგრესის უფლება

**13.4.** სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის შემდეგ მიმწოდებელზე (მზღვეველზე) გადადის რეგრესული მოთხოვნის უფლება, რომელიც შემსყიდველს (დამზღვევს) გააჩნია ზიანზე პასუხისმგებელი პირის მიმართ.

## 14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

**14.4.** წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის 2019 წლის 01 მაისიდან და მოქმედებს 2019 წლის 07 აგვისტოს ჩათვლით.

## 15. ფორს-მაჟორი

**15.4.** წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.
**15.5.** ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება

გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით.

**15.6.** მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

## 17. ინტერესთა კონფლიქტი

**17.1.** შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულებაზე ხელმომწერი პირი "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით ადასტურებს, რომ მისი მონაწილეობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შესყიდვის პროცედურაში არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

## 18. ხარისხი

**18.1.** მიმწოდებელი პასუხს აგებს გაწეული მომსახურების ხარისხზე.

## 19. სხვა პირობები

**19.1.** ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო ერთი - შემსყიდველს.

## 20. მხარეთა რეკვიზიტები:

| *მიმწოდებელი* | *შემსყიდველი* |
|---|---|
| **სს „პსპ დაზღვევა"**<br>წარმოდგენილი გენერალური დირექტორის<br>სოფიო ლებანიძის სახით,<br>**ს/კ 204545572**<br>**იურ. მის:** ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. N148<br>**საბანკო რეკვიზიტები:** სს „თიბისი ბანკი"<br>კოდი:TBCBGE22<br>ა/ა: GE53TB7302336020100001 | **სსიპ „ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტო"**<br>წარმოდგენილი სააგენტოს უფროსის<br>გიორგი ტატიშვილის სახით,<br>**ს/კ 206351749**<br>**მის:** ქ.თბილისი,სანაპიროს ქ.N2 |
| *სოფიო ლებანიძე* | *გიორგი ტატიშვილი* |
| PSP Insurance JSC<br>Digitally signed by PSP Insurance JSC<br>Date: 2019.04.30 15:46:50 +04'00' | LEPL STATE AGENCY OF OIL AND GAS<br>Digitally signed by LEPL STATE AGENCY OF OIL AND GAS<br>DN: cn=LEPL STATE AGENCY OF OIL AND GAS, 2.5.4.97=NTRGE-206351749, o=[illegible], c=GE<br>Date: 2019.04.30 14:15:10 +04'00' |

| N | დასახელება | გამოშვების თარიღი | ნარჩენი საბალანსო ღირებულება | ფასი (თვის განმავლობაში) დღგ-ს გარეშე | ფასი (ორი თვის განმავლობაში) დღგ-ს გარეშე |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ტოიოტა ლენდ კრუიზერი | 2011 | 20 558.88 | 208.00 | 416.00 |
| 2 | კია სორენტო | 2012 | 10 800.00 | 133.00 | 266.00 |
| 3 | სუზუკი ჯიმნი | 2012 | 6 006.00 | 98.00 | 196.00 |
| 4 | სუზუკი ჯიმნი | 2012 | 6 006.00 | 98.00 | 196.00 |
| 5 | სუზუკი SX4 | 2013 | 6 546.60 | 102.50 | 205.00 |
| **სულ ჯამში:** | | | | **639.50** | **1279.00** |

| "მიმწოდებელი" | „შემსყიდველი" |
|---|---|
| **სს "პსპ დაზღვევა"**<br>**ს/კ** 204545572<br>**იურ. მის:** ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. №148<br>**საბანკო რეკვიზიტები:** სს „თიბისი ბანკი"<br>ბანკის კოდი: TBCBGE22<br>ანგ: GE53TB7302336020100001<br><br>**გენერალური დირექტორი:**<br>**სოფიო ლებანიძე** ..... | **სსოპ „ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტო"**<br>**ს/კ:206351749**<br>**მის: ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. N2**<br><br>**სააგნტოს უფროსი:**<br>**გიორგი ტატიშვილი**..... |

PSP Insurance JSC

Digitally signed by PSP Insurance JSC
Date: 2019.04.30 15:47:16 +04'00'

LEPL STATE AGENCY OF OIL AND GAS

Digitally signed by LEPL STATE AGENCY OF OIL AND GAS
DN: cn=LEPL STATE AGENCY OF OIL AND GAS, 2.5.4.97=NTRGE-206351749, o=[illegible], c=GE
Date: 2019.04.30 14:15:35 +04'00'

## ავტოდაზღვევის პირობები

**1. ტერმინთა განმარტება:**

1.1. **ავტო-კასკო, დაზღვეული რისკები :**

1.1.1. ავტოსაგზაო შემთხვევა;

1.1.2. ქურდობა, , ძარცვა, გატაცება;

1.1.3. ხანძარი, აფეთქება;

1.1.4. მესამე პირთა მართლსაწინააღმდეგო ქმედება, ვანდალიზმი;

1.1.5. გარეგანი ზემოქმედებით მიყენებული ზიანი;

1.1.6. სტიქიური მოვლენები, მიწისძვრისა და სეტყვის ჩათვლით.

1.1.7. დამატებითი დაფარვა- დეტალებისა და აქსესუარების ნულოვანი ფრანშიზით დაზღვევა

1.1.8. უფასო ავტო-ასისტანსი თბილისიდან 15 კმ-ის რადიუსში(საწვავის ადგილზე მიწოდება, საწვავის თანხას იხდის დამზღვევი, საბურავის შეცვლა, ავტომობილის დაქოქვა).

1.1.9. უფასო ევაკუატორის მომსახურება მთელი საქართველოს მასშტაბით(სადაზღვევო შემთხვევისას).

**თუ ზემოთაღნიშნული მიზეზების გამო ზიანი მიადგა დამზღვევს:**

1.2. სადაზღვევო კომპანია აანაზღაურებს ავტომობილის შეკეთების ხარჯებს ან გადაუხდის დამზღვევს ზიანის ადეკვატურ თანხას. ამ თანხას გამოაკლდება ფრანშიზა და უკვე ანაზღაურებული თანხები (თუ მსგავსი შემთხვევა იყო და შემდგომში სადაზღვევო თანხა აღდგენილ არ იქნა) ან ჩაანაცვლებს დაზიანებულ ავტომობილს იგივე ან უკეთესი მახასიათებლებისა და მონაცემების მქონე სხვა ავტომობილით;

1.3. გადაიხდის სადაზღვევო შემთხვევის შედეგად ავტომობილის ევაკუირების ხარჯებს;

1.4. სადაზღვევო კომპანიის მიერ ანაზღაურებული თანხა არ გადააჭარბებს ზიანის მომენტისთვის დაზღვეული ავტომობილის საბაზრო ღირებულებას;

1.5. დაზიანებული ან/და მოპარული აქსესუარებისათვის თანხა ანაზღაურდება სადაზღვევო შემთხვევამდე ამ აქსესუარების საბაზრო ღირებულების გათვალისწინებით, მაგრამ არა უმეტეს მისი სადაზღვევო თანხისა;

1.6. ზიანის ანაზღაურების მიზნით, მზღვეველს უფლება აქვს ავტომობილის შეკეთების ხარჯები/ ზიანის ადეკვატური თანხა გადარიცხოს პირდაპირ იმ სარემონტო/შემკეთებელი ცენტრის ანგარიშზე, საიდანაც წარმოდგენილი იქნება დამდგარი ზიანის კალკულაცია (გათვალისწინებული იქნება პოლისში აღნიშნული ფრანშიზა);

1.7. სადაზღვევო კომპანიას უფლება აქვს სრული ზიანის შემთხვევაში, ზიანის ანაზღაურების მიზნით, დამზღვევთან შეთანხმებით ჩაანაცვლოს დაზღვეული ავტომობილი იმავე სპეციფიკაციის ავტომობილით (ავტომობილის ქურდობა/გატაცებისას უფლება აქვს აანაზღუროს ზიანი მოცდის პერიოდის ორი თვის გასვლის შემდეგ, თუ ვერ მოხერხდება მოპარული/გატაცებული ავტომობილის დაბრუნება);

1.8. სადაზღვევო კომპანიის მიერ ასანაზღაურებელი სარემონტო/აღდგენის/შეცვლის ხარჯები დგინდება ზიანის მომენტისათვის არსებული საშუალო საბაზრო ფასებიდან გამომდინარე დამზღვევთან შეთანხმებით; ხოლო დეტალები უნდა იყოს ახალი, ქარხნული.

1.9. თუ ავტომობილი იმყოფება შესაბამისი ლიცენზირებული ავტოცენტრის გარანტიაზე, ასანაზღაურებელი სარემონტო/აღდგენის/შეცვლის ხარჯის განსაზღვრისას დავეყრდნობით ლიცენზირებული სარემონტო ცენტრის კალკულაციას.

1.10. თუ ავტომობილი არ იმყოფება შესაბამისი ლიცენზირებული ავტოცენტრის გარანტიაზე მზღვეველი ვალდებულია ანაზღაურება განახორციელოს საბაზრო ფასებით დადგენილი მოხმარების ახალი, ქარხნული წესით დამზადებული სათადარიგო ნაწილებით.

1.11. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია დაზიანებული ავტომობილის აღდგენა, სადაზღვევო ანაზღაურებიდან შესაძლებელია გამოიქვითოს მისი ნარჩენი ღირებულება (სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დაზიანებული ავტომობილის საბაზრო ფასი);

1.12. იმ შემთხვევაში, თუ დამზღვევი იღებს კომპენსაციას დამნაშავე პირისგან და ეს კომპენსაცია აღემატება ფრანშიზის ოდენობას, სადაზღვევო ხელშეკრულებით ასანაზღაურებელი თანხა შემცირდება ამ კომპენსაციასა და ფრანშიზას შორის სხვაობის ოდენობით;

1.13. **პროპორციული ანაზღაურების მეთოდი.** თუ სადაზღვევო შემთხვევის მომენტისათვის დაზღვეული ავტომობილის საბაზრო ღირებულება სადაზღვევო თანხას აღემატება, ზიანის ანაზღაურებისას გამოიყენება ე.წ. პროპორციულობის მეთოდი: ანაზღაურდება საერთო ზიანის ის წილი, რომელიც შეესაბამება დაზღვეული ავტომობილის პოლისში მითითებული სადაზღვევო თანხის თანაფარდობას მის რეალურ საბაზრო ღირებულებასთან;

1.14. **გამონაკლისები, არ იფარება:**

1.14.1. არ იფარება ქურდობა/ძარცვით დამდგარი ზიანი, თუ ამ დროს დაზღვეულ ავტომობილში ან ავტომობილზე დატოვებულია გასაღები და/ან ავტომობილის ტექნიკური პასპორტი, დაწეულია მინები და/ან ღიაა კარი;

1.14.2. გაუფასურება, ამორტიზაცია, ცვეთა, მექანიკური და ელექტროსისტემების/ნაწილების მწყობრიდან გამოსვლა ისეთი მიზეზით რისკებით, რაც არ არის დაფარული წინამდებარე ხელშეკრულებით;

1.14.3. კომპიუტერის მწყობრიდან გამოსვლა არასადაზღვევო შემთხვევის შედეგად;

1.14.4. საბურავების დაზიანება, თუ ეს არ არის გამოწვეული ავტოსაგზაო შემთხვევით;

1.14.5. რეაქტიული თვითმფრინავის ან სხვა საფრენი აპარატის მიერ წარმოქმნილი ტალღით გამოწვეული დაზიანება;

1.14.6. არ ანაზღაურდება კომპიუტერისა და პროგრამული უზრუნველყოფის დაზიანებით გამოწვეული ხარჯები, თუ ეს არ არის გამოწვეული სადაზღვევო შემთხვევით;

1.14.7. ნებისმიერი ისეთი სარემონტო თუ სხვა სახის ხარჯი, რომელიც გააუმჯობესებს დაზღვეული ავტომობილის მდგომარეობას სადაზღვევო შემთქვევამდე არსებულთან შედარებით;

1.14.8. ნებისმიერი სარემონტო ხარჯი, რომლებიც გამოწვეულია დაზღვევამდე არსებული მიზეზით;

1.14.9. ინტერიერის, სავარძლების, შალითების და ხალიჩების ცალკეული დაზიანება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ასეთი დაზიანება გამოწვეულია ავტოსაგზაო შემთხვევით;

1.14.10. ტენტების, სალონის საფარი ბრეზენტების დაზიანება; უხარისხო გზით გამოწვეული სავალი ნაწილის, ტრანსმისიის, ძრავის ან საბურავების ცალკეული დაზიანება.

## 2. MTPL ავტომფლობელის მესამე პირის მიმართ პასუხისმგებლობის დაზღვევა:

2.1. პოლისში მითითებული პასუხისმგებლობის ლიმიტის ფარგლებში ანაზღაურდება თანხას, რომლის გადახდაც კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილებით (გარდა თქვენ წინააღმდეგ სასამართლოს მიერ მიღებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების ან თქვენ მიერ სარჩელის ცნობის შემთხვევებისა) დაეკისრება დამზღვევის მიერ დაზღვეული ავტომობილის (ან მისი მისაბმელის) ექსპლუატაციის შედეგად მესამე მხარისათვის მიყენებული ზიანისთვის, კერძოდ მესამე მხარის სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანი და/ან მესამე მხარის ქონებისთვის მიყენებული ზიანი;

2.2. ანაზღაურდება აგრეთვე დაზღვეული ავტომობილის მართვის/გამოყენების შედეგად წარმოშობილი სხვა პირების პასუხისმგებლობა, კერძოდ იგულისხმება:

2.2.1. ნებისმიერი უფლებამოსილი მძღოლი, რომელიც მართავს დაზღვეულ ავტომობილს;

2.2.2. დაზღვეული ავტომობილის მგზავრი უშუალოდ მგზავრობის ან ავტომობილში ჩაჯდომა-გადმოსვლის დროს;

2.2.3. თანამშრომელი ან საქმიანი პარტნიორი, თუკი დაზღვეული ავტომობილი გამოიყენება კომერციული დანიშნულებით და ეს აღნიშნულია როგორც განაცხადში, ასევე პოლისში;

2.3. მესამე მხარის დაღუპვის შემთხვევაში, ამ პარაგრაფით გათვალისწინებული დაზღვევა გავრცელდება დაღუპული პირის სამართალმემკვიდრეზე;

2.4. სადაზღვევო კომპანია აანაზღაურებს (პასუხისმგებლობის ლიმიტის ფარგლებში):

2.4.1. თანხას, რომლის გადახდაც დაზღვეულ პირს დაეკისრება სასამართლოს მიერ (გარდა სასამართლოს მიერ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის ან სარჩელის ცნობის შემთხვევებისა) დაზღვეული ავტომობილით მესამე მხარისთვის მიყენებული ზიანისთვის, ან/და

2.4.2. თანხას, რომლის გადახდაზეც მოვილაპარაკებთ დაზღვეულ პირსა და დაზარალებულ მესამე მხარეს შორის სასამართლოს გარეშე (იხ.პუნქტი 2.7);

2.4.3. სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებულ იურიდიულ ხარჯებს, რაც დაკავშირებულია ზიანის დარეგულირებასთან;

2.5. სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებული ნებისმიერი ხარჯის გაღება (იურიდიული თუ სხვა) ან მესამე მხარის მიმართ პასუხისმგებლობის აღიარება უნდა მოხდეს მხოლოდ მზღვეველთან წერილობითი შეთანხმებით, წინააღმდეგ შემთხვევაში უფლებას ვიტოვებთ არ ავანაზღაუროთ ზიანი;

2.6. თუ თანხა ანაზღაურდება კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე, თანხა გამოითვლება შემდეგნაირად:

2.6.1. მესამე მხარის ქონების დაზიანებისას, პოლისში მითითებული ანაზღაურების ლიმიტის ფარგლებში ანაზღაურდება:

- თუ მესამე მხარის ქონება მთლიანად განადგურდა - ქონების საბაზრო ღირებულებას გამოაკლდება ნარჩენების ღირებულება;
- თუ მესამე მხარის ქონება არ არის სრულად განადგურებული, ანაზღაურდება სარემონტო ხარჯები, რაც საჭიროა დაზიანებული ქონების დაზიანებამდე არსებულ კონდიციამდე მისაყვანად;

2.6.2. მესამე მხარის ჯანმრთელობისა და სიცოცხლისთვის მიყენებული ზიანისას, პოლისში მითითებული ანაზღაურების ლიმიტის ფარგლებში ანაზღაურდება:

- დოკუმენტურად დადასტურებული შემოსავალი, რომელსაც დაზარალებული პირი ვერ მიიღებს შრომისუნარიანობის სრული ან ნაწილობრივი დაკარგვის გამო, მაგრამ არა უმეტეს 5 (ხუთი) წლის განმავლობაში მიღებული ასეთი სახის ჯამური შემოსავლისა;
- დაზარალებული პირის სამკურნალოდ საჭირო თანხები;
- დაზარალებული პირის გარდაცვალების შემთხვევაში, დოკუმენტურად დადასტურებული შემოსავალი, მაგრამ არა უმეტეს 5 (ხუთი) წლის განმავლობაში მიღებული ასეთი სახის ჯამური შემოსავლისა. ამ პუნქტში აღნიშნული რისკის დადგომის შემთხვევაში, ზიანი აუნაზღაურდება მხოლოდ დაზარალებული პირის მემკვიდრეს (მემკვიდრეებს) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

2.7. ერთი შემთხვევისაგან გამოწვეული დანაკარგი განხილულ იქნება როგორც ერთი სადაზღვევო შემთხვევა. ამ დაზღვევით არავის აქვს უფლება, ორჯერ ან მეტჯერ მიიღოს ანაზღაურება ერთი და იმავე ზიანისათვის;

2.8. იმ შემთხვევაში, თუ ერთი შემთხვევის შედეგად დაზარალდება რამდენიმე მესამე პირი, ხოლო დაზღვეულზე დაკისრებული ჯამური პასუხისმგებლობის ოდენობა გადაჭარბებს პოლისში მითითებულ ანაზღაურების ლიმიტს, ანაზღაურებას თითოეული მხარე მიიღებს პროპორიულად (მისი ზიანის წილის შესაბამისად საერთო ზიანში);

2.9. **ავტომფლობელის მესამე მხარის მიმართ პასუხისმგებლობის დაზღვევის გამონაკლისები**
**მე 2-ე პარაგრაფით გათვალისწინებული დაზღვევა არ გავრცელდება თუ:**

2.9.1. ამავე პარაგრაფში აღნიშნული პასუხისმგებლობა დაფარულია ნებისმიერი სხვა დაზღვევით;

2.9.2. თუ ზიანი მიადგა დაზღვეული ავტომობილის მძღოლისა და/ან მგზავრების სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას;

2.9.3. ზიანი მიყენებულია "დამზღვევის" ქონებისთვის;

2.9.4. თუ ზიანი მიადგა მესამე მხარის ქონებას, როდესაც ხდებოდა ამ ქონების ტრანსპორტირება დაზღვეული ავტომობილით;

2.9.5. მესამე მხარის ქონება იმყოფებოდა „დამზღვევის/მოსარგებლის" მეთვალყურეობის ქვეშ (ამ უკანასკნელს ჰქონდა მიბარებული).

## 3. საერთო პირობები:

**სადაზღვევო შემთხვევის დროს დაუყოვნებლივ დაუკავშირდით 24 საათიან „პსპ ასისტანსს“ ტელ: 995 32 18 55 55 წინააღმდეგ შემთხვევაში სადაზღვევო კომპანია არ განიხილავს პრეტენზიას ზიანის ანაზღაურების თაობაზე.**

3.1. სადაზღვევო კომპანიის წარმომადგენელი ჩაერთვება დარეგულირების პროცესში და გაგიწევთ შესაბამის დახმარებასა და კონსულტაციას. საჭიროების შემთხვევაში გამოიძახებს ევაკუატორს თქვენი ავტომობილის უსაფრთხო ადგილას გადასაყვანად;

3.2. დაუშვებელია სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დაზიანებული ავტომობილის შემთხვევის ადგილიდან გადაადგილება, (გარდა საპატრულო პოლიციის წარმომადგენლის მოთხოვნისა, წინააღმდეგ შემთხვევაში უფლება გვაქვს უარი ვთქვათ სადაზღვევო ანაზღაურებაზე;

3.3. სადაზღვევო შემთხვევისას დამზღვევმა აუცილებლად უნდა გამოიძახოს საპატრულო პოლიცია. მზღვეველი არ განიხილავს პრეტენზიებს ზიანის ანაზღაურებაზე, თუ შემთხვევის შესახებ 24 საათის დაგვიანებით აცნობებს დამზღვევი.

3.4. **საერთო გამონაკლისები.** ეს დაზღვევა არ ანაზღაურებს ნებისმიერ შემთხვევას ან ზიანს გამოწვეულს შემდეგი გარემოებებით:

3.4.1. "დამზღვევი" არღვევს სადაზღვევო ხელშეკრულების პირობებს;

3.4.2. ავტომობილში მგზავრთა რაოდენობა აღემატება დასაშვებს;

3.4.3. ზიანი გამოწვეულია დაზღვეული ავტომობილის გადატვირთვით, ტექნიკური გაუმართაობით, არასაგზაო პირობებში ექსპლუატაციით;

3.4.4. დაზღვეული ავტომობილის მძღოლი აჭარბებს მოძრაობის წესებით დადგენილ სიჩქარის ლიმიტს( +15 კმ/სთ);

3.4.5. დაზღვეული ავტომობილის მძღოლი საპირისპირო მიმართულების სამოძრაო ზოლში საგზაო მოძრაობის წესების დარღვევით გადაადგილდება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს გამოწვეულია მესამე პირის სიცოცხლის გადარჩენის აუცილებლობით;

3.4.6. დაზღვეული ავტომობილის მძღოლი ატრიალებს ავტომობილს გვირაბში ან ისეთ ადგილას სადაც ასეთი ქმედება დაუშვებელია;

3.4.7. ზიანი გამოწვეულია, ამორტიზაციით, ცვეთით, ჟანგვით, კოროზიით და ა.შ;

3.4.8. ზიანი გამოწვეულია მექანიზმებისა და ელექტრომოწყობილობების გაფუჭებით, მწყობრიდან გამოსვლით, გატეხვით;

3.4.9. ძრავის სიჩქარეების გადაცემათა კოლოფის ნებისმიერ დაზიანებას, გარდა ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად დაზიანებისა;.

3.4.10. ზიანი გამოწვეულია დაზღვეული ავტომობილის საპროექტო ან კონსტრუქციული დეფექტებით;

3.4.11. ნებისნიერი სახის ზიანს/დაზიანებას რომელიც წარმოიშვა იმ შემთხვევაში როცა:

3.4.11.1. დაზღვეული ავტომობილის მძღოლი იმყოფება ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ (მიუხედავად იმისა, სადაზღვევო შემთხვევა დაზღვეული ავტომობილის მძღოლის ბრალეულობით მოხდა თუ მესამე მხარის მიზეზით);

3.4.12. ზიანი გამოწვეულია დაზღვეული ავტომობილის მძღოლის მიერ თვითმკვლელობით ან თვითმკვლელობის მცდელობით;

3.4.13. ზიანი გამოწვეულია დაზღვეული ავტომობილის მძღოლის განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით;

3.4.14. სხვადასხვა სახის რბოლებში მონაწილეობა, დაზიანება ავტომობილის ნებისმიერი სახით გამოცდისას (TEST DRIVE);

3.4.15. არ არის გადახდილი პოლისში მითითებული სადაზღვევო პრემია სრულად ან მისი ნაწილი (პრემიის განვადებით გადახდისას პოლისში მითითებული გრაფიკით გათვალისწინებული შენატანი);

3.4.16. აღნიშნული ავტომობილი იძებნება და/ან ავტომობილის მახასიათებლები არ ემთხვევა მისი VIN კოდის (ავტომობილის საიდენტიფიკაციო ნომერი) შესაბამის მახასიათებლებს (რომელსაც მოვიპოვებთ სატრანსპორტო საშუალების მწარმოებლის ან სხვა კომპეტენტური წყაროს მეშვეობით);

3.4.17. ნებისმიერი ქმედებით, რომლის შედეგადაც უფლება გვაქვს უარი ვთქვათ ზიანის ანაზღაურებაზე საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე;

3.4.18. ზიანი გამოწვეულია იონიზებული რადიაციით ან რადიოაქტიური დაბინძურებით; ატომური/ბირთვული ნივთიერებით; რადიოქტიური, ტოქსიკური, ფეთქებადი ან სხვა სახიფათო ნივთიერების ტრანსპორტირებით;

3.4.19. ომით (გამოცხადებული თუ გამოუცხადებელი); შემოჭრით, მტრული ძალების ქმედებით, მტრული ან საომარი მოქმედებით;

3.4.20. სამოქალაქო მღელვარებით;

3.4.21. სამხედრო ხელისუფლების მიერ (მიუხედვად იმისა, რომ ხორციელდება კანონიერად არჩეული მთავრობის მიერ); უზურპირებული ხელისუფლების მიერ (როდესაც ძალაუფლებას უკანონოდ ხელში იღებს პირი ან პირთა ჯგუფი);

3.4.22. ტერორიზმის აქტით ან მისი მცდელობით;

## 4. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

| "მიმწოდებელი" | „შემსყიდველი" |
|---|---|
| სს "პსპ დაზღვევა"<br>ს/კ 204545572<br>**იურ. მის:** ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. №148<br>**საბანკო რეკვიზიტები:** სს „თიბისი ბანკი"<br>ბანკის კოდი: TBCBGE22<br>ანგ: GE53TB7302336020100001<br><br>**გენერალური დირექტორი:**<br>**სოფიო ლებანიძე** ..... | **სსოპ „ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტო"**<br>**ს/კ:206351749**<br>**მის: ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. N2**<br><br>**სააგნტოს უფროსი:**<br>**გიორგი ტატიშვილი**..... |

PSP Insurance JSC

Digitally signed by PSP Insurance JSC
Date: 2019.04.30 15:47:44 +04'00'

LEPL STATE AGENCY OF OIL AND GAS

Digitally signed by LEPL STATE AGENCY OF OIL AND GAS
DN: cn=LEPL STATE AGENCY OF OIL AND GAS, 2.5.4.97=NTRGE-206351749, o=[illegible], c=GE
Date: 2019.04.30 14:16:02 +04'00'

## ხელწერილი

## ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. თბილისი 30 აპრილი 2019 წ.

ქვემოთ ხელის მომწერნი ვადასტურებთ, რომ სააგენტოს ბალანსზე რიცხული 5 (ხუთი) ერთეული ავტოტრანსპორტის სადაზღვევო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის განსახორციელებლად მიმწოდებლის (სს „პსპ დაზღვევა“ ; ს/კ: 204545572) შერჩევის პროცესში ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს და შესყიდვაში მონაწილეობით ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

სსიპ-ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტოს,

იურიდიულ და ადმინისტრაციულ საქმეთა დეპარტამენტის, რევაზ შანავა

შესყიდვებისა და მატერიალური უზრუნველყოფის

სამმართველოს მთავარი სპეციალისტი